



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საქართველოში საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზება.

ასოციაცია “ეკოტექი”

ავტორი თემურ ვეკუა

რეზიუმე

კონსტიტუციის თანახმად, საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლება - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ, სუფთა გარემოში, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო ადგილისა და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ამ ვალდებულების თითოეული პუნქტის შესრულება დაკავშირებულია გარემოს სახელმწიფო მონიტორინგის განხორციელებასთან. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გაერთიანება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ეჭვქვეშ აყენებს ამ ვალდებულებების შესრულებას. ფაქტობრივად, გარემოს დაცვის სამინისტრომ ნაწილობრივ დაკარგა ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. გარემოს დაცვის სამინისტროს მხოლოდ ცენტრალური აპარატი ვერ უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობაზე დეტალური ინფორმაციის მოპოვებას. არ არის ეფექტური სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც სამინისტროს ყოველკვირეულად წარუდგენდნენ მონაცემებს; არ ფუნქციონირებს რეგიონალური ანალიტიკური ლაბორატორიები. ეკონომიკის სამინისტროში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტს წარმოადგენს ეკომინომიკური საქმიანობის განვითარება. ტყეების რეფორმაზე არ უმუშავია და სერიოზული შეხება არ აქვს, რაც ნიშნავს, რომ რეფორმის განხორციელების, ახალი სატყეო კოდექსის მომზადების, წიაღის შესახებ კანონისა და სხვა აქტების ცვლილების პროცესში გარემოსდამცველები საერთოდ აქტიურად არ მონაწილეობენ, სამინისტროს კი პროცესში ჩართვის სურვილიც რომ ჰქონდეს, ამის კომპეტენციაც აღარ აქვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე განსაკუთრებულად აქტუალური ხდება საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს დაგეგმოს და განახორციელოს, საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების გეგმები.

მოხდება საზოგადოების ინფორმირება ახალი ინიციატივის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს სამოქალაქო საზოგადოებას თვითონ მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივი

გარემოსდაცვითი მონიტორინგის მექანიზმების ჩამოყალიბებაში, ქვეყნის მდგრადი განვითარების გეგმის განხორციელების მონიტორინგში.

შეიქმნება საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემა, რომელშიც ჩაერთვებიან არასამთავრობო სექტორის, კერძოდ, გარემოს დაცვის სფეროს წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და საზოგადო მოღვაწეები, რის საფუძველზეც შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი საბჭო. საბჭოს ფუნქცია საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის კოორდინირების განხორციელება იქნება. საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის საბჭო მჭიდროდ ითანამშრომლებს მედიასთან და შესაბამის სახელმწიფო ადმინისტრაციული და საკანონმდებლო უწყებებთან. სამინისტროებსა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უწყებებს გააცნობს საზოგადოების მოსაზრებებს. გარდა ამისა, საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების პროცესსაც. ცალკე გამოსაყოფია საბჭოს საქმიანი კავშირი ევროპული პლატფორმის ორგანოებთან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით.

ცხელი ხაზი, ონლაინ ფორუმი, მედია დებატები და პირისპირ შეხვედრები ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს მისცემს საშუალებას, რომ გამოთქვას მოსაზრება ქვეყნის გარემოს დაცვასა და მის მდგრად განვითარებაზე. საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემამ უნდა შეიმუშაოს მონიტორინგის მექანიზმების ფორმები და ასევე აწარმოოს სახელმწიფოს საქმიანობის მონიტორინგი.

Organizing Public Ecological Monitoring in Georgia

Association "Ecotech"

Author: Temur Vekua

Abstract

According to the Constitution, Georgia is committed to protecting fundamental human right - to live in a healthy, clean environment, to receive complete, objective and timely information about his/her workplace and living environment, to promote the rational use of natural resources. Fulfillment of each of these obligations is related to the implementation of state monitoring of the environment. The merger of the Ministry of Environment Protection and Natural Resources with the Ministry of Agriculture causes doubts about the fulfillment of these obligations. In fact, the Ministry of Environment has partially lost the functions provided by the State to protect the environment and use nature rationally. Only the central office of the Ministry of Environment Protection cannot provide detailed information on the state of the environment. The territorial bodies of the Ministry, which submitted data to the Ministry on a weekly basis, are not effective; regional analytical laboratories are

not functioning. The development of economic activity is a priority of the National Environmental Agency within the Ministry of Economy. It has not worked on forest reform and has no serious involvement, which means that environmentalists are not actively involved in the implementation of the reform, the drafting of the new Forest Code, the Law on Subsoil and other acts, and even if the Ministry desires, it is no longer competent to be involved in the process.

Due to the above, the establishment of public environmental monitoring mechanisms becomes especially important at this stage: it will allow the state to plan and implement sustainable development plans of the country in accordance with the public order.

The public will be informed about the new initiative, which will enable the civil society itself to participate in the establishment of public environmental monitoring mechanisms, in the monitoring of the implementation of the sustainable development plan of the country.

A public environmental monitoring system will be set up, involving representatives of the non-governmental sector, in particular the representatives of the environmental sector, independent experts and public figures, based on which it will be possible to establish a public board. The function of the board will be to coordinate the public environmental monitoring system. The public environmental monitoring system board will work closely with the media and relevant state administrative and legislative agencies; it will inform the Ministries and all the above-mentioned agencies the views of the public. In addition, the public environmental monitoring system should facilitate the process of activating civil society. It should be separately emphasized the board's business relationship with the bodies of the European Platform under the Association Agreement with the European Union.

The hotline, online forums, media debates and face-to-face meetings will enable any citizen of the country to express his/her view on the protection of the country's environment and its sustainable development. The public environmental monitoring system should develop the forms of monitoring mechanisms and monitor the activities of the state.

შესავალი

გარემოს დაცვის საზოგადოებრივი მონიტორინგის იდეა ახალი არ არის. ასეთი ტიპის საზოგადოებრივი აქტივობა ხელს უწყობს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას გარემოზე ზემოქმედებისადმი და მის ინფორმირებულობას გარემოს დაცვის საკითხში. ჩვენს მიერ შემოთავაზებული აქტივობა განსაზღვრულია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე (მათ შორის აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში). დღევანდელი არსებული მონიტორინგის

სისტემა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო მონაწილეობას გარემოს დაცვის პრობლემებში. ასეთი მონაწილეობა კი აუცილებელია, რათა მოცული იყოს ყველა დასახლებული პუნქტი, აღმოჩენილი იყოს გარემოს დაცვის ყველა "ცხელი წერტილი". ეს „ცხელი წერტილები“ იქნება საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ძირითადი ობიექტები. მომზადებულია კითხვარი ეკოლოგიური რეგიონალური ჯგუფებისათვის. მოხდება საკითხის პილოტირება შერჩეულ რეგიონალურ ეკოლოგიურ აქტივისტებთან, მათთან ტრენინგების ჩატარება და შემდგომში საქართველოს მთელი ტერიტორიის მოცვა. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ჩართვის მცდელობა.

მოქმედი სახელმწიფო ეკოლოგიური მონიტორინგი მოიცავს შემდეგ სისტემებს:

- მონიტორინგის საბაზო ქსელს;
- ანტროპოგენური ზემოქმედების მონიტორინგს;
- სამრეწველო წყაროების მონიტორინგს.

ამ სისტემებით მიღებული ინფორმაცია ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს (რადგან მიიღება დაინტერესებული პირებისგან), აგრეთვე ის არ არის უწყვეტი. დღევანდელ პირობებში აუცილებელია საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზება. ევროკავშირის დირექტივებში მთავარი პრიორიტეტია გარემოს დაცვის ზემოქმედაბა მოსახლეობის ჯამრთელობაზე, რაც მოითხოვს ნორმატიულ, საორგანიზაციო და ფინანსურ ძალისხმევას. საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგი მომზადებული კითხვარის დახმარებით საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ინფორმაცია გარემოს ზემოქმედების გავლენის შესახებ ადამიანზე ბიოლოგიური თვალსაზრისით. საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის მეორე საკვანძო საკითხი არის ინფორმაციის გავრცელება გარემოს მდგომარეობაზე, გარდა ამისა საზოგადოების მონაწილეობა გარემოს დაცვის პრობლემებში იძლევა სერიოზულ წინაპირობას კონსტრუქციული დიალოგის ორგანიზებისათვის, რათა მოხდეს საზოგადოების და სპეციალისტების კონსოლიდაცია ეკოლოგიური პრობლემების დაძლევისათვის. ორხუის კონვენცია ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას გარემოს დაცვის პრობლემების გადაწყვეტაში, სრული ინფორმაციის შეუზღუდავად მიღებას. ამავე დროს მოხდება ფართო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც გააუმჯობესებს მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებების ხარისხს. ესეც არის ამ საკითხის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

სამუშაოს მთავარი მიზანია აირჩიოს ფოკუს ჯგუფები ეკოაქტივისტებისათვის, რათა შეიქმნას საზოგადოებრივი ეკომონიტორინგის ასოციაცია. შედგენილი იქნას ეკოლოგიური მონიტორინგის ფორმალიზებული, ანალიზისა და გარემოზე ზემოქმედების ობიექტური სურათის მომცემი კითხვარი, დაგეგმილი ტრენინგებით მომზადდება ეკოაქტივისტების ჯგუფი. შეირჩევა ფოკუს ჯგუფები თბილისში, სამეგრელოს რეგიონში და გარდაბანში. მოხდება საკომუნიკაციო დაკავშირება აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აქტივისტებთან. შერჩეული იქნება პილოტირებისთვის დასახლებული პუნქტი და გაკეთდება პილოტირების სრული ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე მოხდება კითხვარების საბოლოო დახვეწა,

ფოკუს ჯგუფებისთვის ინსტრუქციების მომზადება, ალტერნატიული საინფორმაციო მასალების მომზადება გარემოს მდგომარეობის შესახებ. სამუშაოს მიზნები შემდეგია:

- ფორმალიზებული, ობიექტური ინფორმაციის მომტანი, გარემოზე ზემოქმედების კითხვარის შექმნა.
- ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების მეთოდების ჩამოყალიბება.
- ”ცხელი” ინფორმაციის გადამოწმება.
- მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის გავრცელება, წარდგენა საზოგადოების, მასმედიისა და სახელმწიფო ორგანოებისთვის.
- საზოგადოებრივი მონიტორინგი აქტივისტების ჯგუფის შექმნა დაგეგმილი ტრენინგებისა და პრაქტიკული მოქმედებით შემუშავებული უნარების გზით.

ეს დასახული მიზნები ემსახურება მონიტორინგის შემოთავაზებული მეთოდის პილოტირებასა და საზოგადოების ნაწილის გააქტიურებას იდეის შემდგომი გავრცელებისა შემოთავაზებული სისტემის დანერგვით.

დასაწყისში მუშა ჯგუფი შეისწავლის გარემოზე ზემოქმედების სახელმწიფოს მიერ წარმოებული დაკვირვების მასალებს და ამ მასალების საფუძველზე შეარჩევს ფოკუს ჯგუფებს რეგიონისა და პრობლემატიკის მიხედვით. სავარაუდო რეგიონებია—თბილისი, ქვემო ქართლი, სამეგრელო. პარალელურად დაიწყება მუშაობა გარემოზე ზემოქმედების კითხვარის შესაქმნელად. კითხვარის მიმართ მოთხოვნები ასეთია: კითხვარის შეკითხვებზე პასუხები უნდა გამორიცხავდეს გამოკითხულის ემოციურ ფონს შესასწავლ საკითხზე საუბრისას, კითხვარი უნდა იყოს მაქსიმალურად ფორმალიზებული, მისი გაშიფრვის გასაადვილებლად და მიღებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის ასამაღლებლად. მომზადდება სატრენინგო პროგრამა, ეკოაქტივისტების სამუშაო უნარების გამოსამუშავებლად და კითხვარით მუშაობის პრაქტიკული ჩვევების მისაღებად. მთელი ეს პერიოდი განისაზღვრება სამი—ოთხი კვირით. ამის შემდეგ დაიწყება იმ რეგიონების აქტივისტების ტრენინგი რომელსაც განსაზღვრავს მუშა ჯგუფი. ტრენინგის შემდეგ აქტივისტები შეუდგებიან ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ინფორმაციის მოგროვებას კითხვარის საშუალებით. მოპოვებული ინფორმაცია თავს მოიყრის ანალიტიკურ ჯგუფში .დამუშავდება და შეედრება ანალოგიურ ინფორმაციას რომელსაც მოიპოვებენ მონიტორინგის სამთავრობო ორგანიზაციები. შედარებისას გაკეთებული ანალიზის საფუძველზე მოხდება კითხვარის კორექტირება (საჭიროების შემთხვევაში). ეს აქტივობა პროექტის შესრულების მონიტორინგის თანხლებით გაგრძელდება შვიდი კვირა. სამუშაოს მოქმედების მეორე ნახევარში დაიწყება მონიტორინგის მასალების ფართო საზოგადოებისათვის და დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის მისაწვდომი ფორმით გამოქვეყნებისათვის მომზადება. გამოქვეყნების შემდეგ მოხდება დაკვირვება ყველა ბენეფიციარის რეაგირებაზე მასალის სანდოობის შესაფასებლად. დაასრულს ჩატარდება ბრიფინგი დაინტერესებული პირების, ორგანიზაციებისა და მასმედიისათვის.

პირითადი შინაარსი

პროექტის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანა იყო გამოკითხვის კითხვარის მომზადება. ეკოლოგიური პრობლემების რანჟირებით, რისკის თეორიის ელემენტის გამოყენებით მომზადდა კითხვარი, რომელიც გამომაქვს განსახილველად.

კითხვარი

1. გთხოვთ გამოყოთ თქვენი რაიონისთვის მთავარი ეკოლოგიური პრობლემები ქვემოთ ჩამოთვლილი ნუსხიდან (თქვენი აზრით):
 - ტყეების უკონტროლო ჭრა, ტყეების რესურსების დაცვა.
 - ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება.
 - წყლის გაბინძურება.
 - ნიადაგის გაბინძურება.
 - ზოგადი სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობა.
 - ნიადაგის ეროზია, ეროზიული მოვლენები.
2. თუ არა კომუნალურ მეურნეობას გამწმენდი ნაგებობები და როგორ ფუნქციონირებენ
3. რა მდგომარეობაშია საკანალიზაციო ქსელები, სანიაღვრე წყალსადენი?
4. ხდება თუ არა თქვენთან სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი?
5. რა მდგომარეობაშია თქვენთან არსებული მწვანე საფარი, მწვანე ნარგავების გაშენება?
6. რა მდგომარეობაშია ნაგავსაყრელები. ორგანიზებულია თუ სტიქიური?
7. ხომ არ არის თქვენთან მეწყერსაშიში ზონები? არის თუ არა მოსალოდნელი (ან იყო) სტიქიური მოვლენები?
8. ხდება თუ არა კვების პროდუქტების სათანადო კონტროლი სანიტარულ და ეკოლოგიურ სისუფთავეზე?
9. ხომ არ არის ან იყო თქვენთან გავრცელებული აზიური ფაროსანა, ამერიკული თეთრი პეპელა ან სხვა მავნე ორგანიზმები? მაწანწალა ძაღლები?
10. ხომ არ არის თქვენთან ტოქსიკური ნივთიერებების სამარხები, სხვა სახის სამარხები, ხომ არ იყო განლაგებული რუსეთის ჯარის ბაზები? ხომ არ არის ცნობილი თქვენთვის რადიონუკლიდების წყაროებზე (ქარხნებში, სამედიცინო დაწესებულებებში ან სხვაგან). ბეკერის ორმოები?
11. ხომ არ ხდება თქვენთან ბუნებრივი რესურსების უკონტროლო მოპოვება და გამოყენება?
12. მოიმატა თუ არა თქვენთან ალერგიულმა დაავადებებმა, იმუნური სისტემის დამქვეითებამ, ონკოლოგიურმა დაავადებებმა?
13. ხომ არ გადის თქვენთან ნავთობსადენი ბაქო-ჯეიხანი ან ბაქო-სუფსა, ან სხვა ტრანსსადენები?
14. ხომ არ ყოფილა თქვენთან "ლორის" , "ქათმის" გრიპის ნიშნები? კორონავირუსის შემთხვევები?
15. თქვენის აზრით როგორ მუშაობენ სახელმწიფო უწყებები, მათი სტრუქტურები (გარემოს დაცვის, მუნიციპალური და კომუნალური სამსახურები, ადგილობრივი

სახელისუფლო ორგანოები და სხვა). აქვს თუ არა მოსახლეობას ღია ინფორმაცია ეკოლოგიურ მდგომარეობაზე?

16. გთხოვთ ცალკე მიუნიშნოთ საყურადღებო ან საგანგებო ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიის (გარემოს დაცვის) პრობლემატიკასთან.

საკონტაქტო პირებს რეგიონებში მე გავუგზავნე კითხვარი, მოვიდა პასუხები ფოთიდან . მომყავს კითხვარი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (ნინო გვასალია)

1) გთხოვთ გამოყოთ თქვენი რაიონისთვის მთავარი ეკოლოგიური პრობლემები ქვემოთ ჩამოთვლილი ნუსხიდან (თქვენი აზრით):

ა) ტყეების უკონტროლო ჭრა, ტყეების რესურსების დაცვა. აღნიშნული პრობლემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში არ ფიქსირდება.

ბ) ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება.

ჰაერის დაბინძურების კერები შეინიშნება ნავსადგურის მიმდებარედ, ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოში (ნაზადა), ცემენტის ქარხანასთან, რისთვისაც დაგეგმილია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ჰაერის სრულად და უწყვეტი მონიტორინგისათვის ავტომატური სადგურის დამონტაჟება.

გ) წყლის დაბინძურება.

მდინარე რიონში აღინიშნება მყარი ნატანები, რომელიც შემდგომ ზღვაში ჩაედინება და ანაგვიანებს როგორც წყალს, ასევე ზღვის სანაპიროს.

დ) ნიადაგის გაბინძურება.

ე) ზოგადი სანიტარულ - ეკოლოგიური მდგომარეობა.

ვ) ნიადაგის ეროზია, ეროზიული მოვლენები.

2) აქვს თუ არა კომუნალურ მეურნეობას გამწმენდი ნაგებობები და როგორ ფუნქციონირებენ? ქალაქში გამწმენდი ნაგებობა არ არსებობს.

3) რა მდგომარეობაშია საკანალიზაციო ქსელები, სანიაღვრე წყალსადენი?

- ქალაქში ფუნქციონირებს გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენებული კანალიზაციის სისტემა (გამწმენდი ნაგებობის გარეშე), რომელის შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაქვემდებარებაშია და ემსახურება მოსახლეობის 20-25%-ს.
- ამჟამად მიმდინარეობს მთელი ქალაქის ცენტრალური კანალიზაციის მშენებლობა 2 გამწმენდი ნაგებობით.

- 24-საათიან რეჟიმში გამართულად მუშაობს წყალსადენი, ქალაქში წყალმომარაგება სრულად არის მოწესრიგებული.
- ქალაქის ქუჩების 90% უზრუნველყოფილია სანიაღვრე კანალიზაციითა და 8 სატუმბო სადგურით, რომლის მოვლა-პატრონობას ახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია“.

4) ხდება თუ არა თქვენთან სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი?

- წყლის ხარისხს მუდმივად აკონტროლებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, წყლის ხარისხი შეესაბამება სტანდარტს.

5) რა მდგომარეობაშია თქვენთან არსებული მწვანე საფარი, მწვანე ნარგავების გაშენება?

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას ახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“. მწვანე საფარი ნორმალურ მდგომარეობაშია, ყოველწლიურად ხდება მწვანე ნარგავების განახლება-დარგვა.

6) რა მდგომარეობაშია ნაგავსაყრელები. ორგანიზებულია თუ სტიქიური?

- ქალაქში ფუნქციონირებს შპს „მყარი ნარჩენების კომპანიის“ ნაგავსაყრელი, რომელიც დახურვის რეჟიმში მუშაობს, ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის აშენებამდე.
- ქალაქში სტიქიური ნაგავსაყრელები არ არსებობს.

7) ხომ არ არის თქვენთან მეწყერსაშიში ზონები? არის თუ არა მოსალოდნელი(ან იყო)სტიქიური მოვლენები?

- ქალაქში მეწყერ საშიში ზონები არ არსებობს.
- სტიქიურ მოვლენებს სისტემატური ხასიათი აქვს ნიაღვრული წვიმების პერიოდში.
- პერიოდულად იტბორება ქალაქი.
- ინტენსიურად ირეცხება ზღვის სანაპირო ზოლი (მალთაყვა, კუნძულის უბანი).

8) ხდება თუ არა კვების პროდუქტების სათანადო კონტროლი სანიტარულ და ეკოლოგიურ სისუფთავეზე?

-

9) ხომ არ არის ან იყო თქვენთან გავრცელებული აზიური ფაროსანა, ამერიკული თეთრი პეპელა ან სხვა მავნე ორგანიზმები? მაწანწალა ძაღლები?

აზიური ფაროსანა გავრცელებული იყო, თუმცა სახელმწიფოს მიერ შეწამლვითი სამუშაოების შემდეგ მათი რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

ქალაქისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს დიდი რაოდენობით მაწანწალა ძაღლი, რომლებიც წარმოადგენს საფრთხეს მოსახლეობისთვის, ხშირია დაკბენვის შემთხვევები.

მუნიციპალიტეტს მომსახურებას უწევს კონტრაქტორი კომპანია, რომელიც 2 კვირაში ერთხელ ჩამოდის ფოთში ოზურგეთიდან, მიჰყავს წინასწარ შერჩეული ლოკაციებიდან მაწანწალა ძაღლები, უტარებს მათ პროცედურებს - აცრა-ვაქცინა, კასტრაცია-სტერილიზაცია და აბრუნებს ბინადრობის ადგილზე.

10) ხომ არ არის თქვენთან ტოქსიკური ნივთიერებების სამარხები, სხვა სახის სამარხები, ხომ არ იყო განლაგებული რუსეთის ჯარის ბაზები? ხომ არ არის ცნობილი თქვენთვის რადიონუკლიდების წყაროებზე (ქარხნებში, სამედიცინო დაწესებულებებში ან სხვაგან). ბეკერის ორმოები? არა.

11) ხომ არ ხდება თქვენთან ბუნებრივი რესურსების უკონტროლო მოპოვება და გამოყენება? არა.

12) მოიმატა თუ არა თქვენთან ალერგიულმა დაავადებებმა, იმუნური სისტემის დაქვეითებამ, ონკოლოგიურმა დაავადებებმა? აღნიშნულთან დაკავშირებით, ოფიციალური მონაცემები არ მოიპოვება.

13) ხომ არ გადის თქვენთან ნავთობსადენი ბაქო-ჯეიხანი ან ბაქო-სუფსა, ან სხვა ტრანსსადენები? არა.

14) ხომ არ ყოფილა თქვენთან "ღორის" , "ქათმის" გრიპის ნიშნები? კორონავირუსის შემთხვევები? არა.

15) თქვენის აზრით როგორ მუშაობენ სახელმწიფო უწყებები, მათი სტრუქტურები (გარემოს დაცვის, მუნიციპალური და კომუნალური სამსახურები, ადგილობრივი სახელისუფლო ორგანოები და სხვა). აქვს თუ არა მოსახლეობას ღია ინფორმაცია ეკოლოგიურ მდგომარეობაზე?

- მუნიციპალური სამსახურები მუშაობენ გამართულად. მოსახლეობა ინფორმირებულია ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.
- სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები კოორდინირებულად მუშაობენ სხვადასხვა ეკოლოგიური საკითხის, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

16) გთხოვთ ცალკე მიუნიშნოთ საყურადღებო ან საგანგებო ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიის (გარემოს დაცვის) პრობლემატიკასთან.

- გადასაწყვეტია შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრების, პალიასტომის ტბისა და მდინარე კაპარჭინის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენის საკითხი.
- მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო აკონტროლებს და მაქსიმალურ ყურადღებას იჩენს, ფოთში ხშირად ფიქსირდება

ბრაკონიერების ფაქტები (მეთევზეების მხრიდან) და საჭიროა ამ მხრივ, კიდევ უფრო მეტად გააქტიურება.

ძალიან საინტერესოა მიღებული აფხაზეთიდან მონაცემები: 1)იჩეხება ძვირფასი ხე სამშითი და გემებით გააქვთ.2)ნაგავს მიაქვს იქაურობა-არაორგანიზებული ნაგავსაყრელებია.3) მოუვლელია და დაუმუშავებელია მიწის ნაკვეთები.4)კანალიზაცია მოუწესრიგებელია.5)სასმელი წყლის სისუფთავე ექვს იწვევს.

სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის შემადგენელი ნაწილი არის სახელმწიფო ინსპექტირება, თვითმონიტორინგი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ინსპექტირებას, სახელმწიფო აღრიცხვის სისტემას და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო დაკვირვების სისტემას გარემოზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს შეუძლიათ განახორციელონ სახელმწიფო მონიტორინგი იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო მოახდენს ამის დელეგირებას საჭირო ხელშეკრულებებით და კანონმდებლობით.

ეს შეიძლება განხორციელდეს დამოუკიდებლად ისეთი დამატებითი ეკოლოგიური ინფორმაციის მოპოვებით, რომლებიც არ გააჩნია სახელმწიფო ორგანოს, რაც შესაძლებელია ინფორმაციის სწორი ანალიზით, საზოგადოებისთვის მისი კორექტული ადაპტირებით.

საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონალური პროექტების შედგენას და შესრულებას. განსაკუთრებით ეფექტურია საზოგადოებრივი მონიტორინგი ლოკალურ (ადგილობრივ) დონეზე. ამის ნათელი მაგალითია მცირე მდინარეებზე დაკვირვება და ინფორმაციის მიღება.

საზოგადოებრივი მონიტორინგის ამოქმედება განსაკუთრებით პერსპექტიულია საგანგებო ან ავარიული სიტუაციების დროს. ასეთი სიტუაციების დროს სახელმწიფო მონიტორინგის და კონტროლის ოპერატიულობა დაბალია. გარდა ამისა, ზოგჯერ ადგილი აქვს ავარიების დამალვას. ამ დროს დამოუკიდებელი ინფორმაცია არის ის ალტერნატიული საინფორმაციო არხი, რომელიც საზოგადოებას აწვდის საიმედო ინფორმაციას. საზოგადოებრივი მონიტორინგის ამოქმედებით მიღებული ინფორმაცია შეიძლება იყოს ეკოლოგიური პრიორიტეტების რანჟირებისთვის მასალა და მამოძრავებელი ინსტრუმენტი საკანონმდებლო ინიციატივებისთვის. მიღებული შეფასებები და ბალანსური გაზომვების შედეგები შეიძლება გახდეს ფართო საზოგადოებისთვის ან სახელისუფლებო უწყებების ყურადღების საგანი. ძალიან აქტუალურია საზოგადოებრივი მონიტორინგის როლი პოსტსაპროექტო ანალიზის დროს. პოსტსაპროექტო ანალიზი შეიცავს მიღებული და რეალიზებული გადაწყვეტილებების შეფასებას და მათ შედარებას პროექტთან. ძალიან იშვიათია პოსტსაპროექტო ანალიზის შედეგების სრული განხორციელება, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების მონაწილეობა საზოგადოებრივ ეკოლოგიურ ექსპერტიზაში, რითიც შეიძლება გამოირიცხოს საზოგადოებრივი ექსპერტიზის შედეგების იგნორირება. სერიოზული მაგალითი-მთავრობის

დადგენილებებით უნდა მომხდარიყო მდინარე ენგურის კალაპოტის გაწმენდა ენგურწყის გაშვების 20 წლის მერე. არ გაკეთდა.

ბუნებრივია, ის გარემოსდაცვით ორგანიზაციები (ჯგუფები), რომლებიც მუშაობენ ანალოგიურ საკითხებზე ან პრობლემებზე, უპირობოდ იქნებიან დაინტერესებულნი ერთიან ქსელში ქსელში ჩართვით (საერთო ან ახლო პრობლემები, მათი გადაწყვეტით ერთნაირი მიდგომები და მეთოდები და ა.შ.) გარემოსდაცვითი ჯგუფების საქმიანობა იძლევა მყარ საფუძველს მათი თანამშრომლობისთვის. თუ ამ ჯგუფების საქმიანობას გავამაგრებთ მათი რეგულარული ურთიერთობებით (ინფორმაციის გაცვლა, საერთო კონფერენციები და შენიშვნები, საერთო მოქმედებები), მაშინ რეგიონალური დონის ქსელის ორგანიზება მარტივია, რომელიც უნდა იყოს საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემის საფუძველი. საქართველოში საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების ფორმულირება და ეფექტურობის კრიტერიუმების დადგენა (ინდიკატორების), ვინაიდან აღნიშნულის გარეშე ავტონომიური ჯგუფების მიზმა საერთო პრობლემებთან. რეგიონალური ჯგუფების (რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივ მონიტორინგს) ერთიან სისტემაში გაერთიანების მყარი საფუძველი შეიძლება იყოს ერთნაირი (ერთგვაროვანი) ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს ჯგუფებს_ სისტემაში მდგრადობას უზრუნველყოფს საერთო ამოცანები. მეორე კრიტერიუმი, რომელიც აადვილებს სისტემაში შექმნას საერთო მეთოდური მიდგომები, შესამუშავებელია. თუ სისტემის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციები და ჯგუფები მუშაობენ თავიანთ ლოკალურ პრობლემებზე,, რომლებიც სუს კავშირშია ერთმანეთთან, მაშინ სისტემის ფუნქციონირებას ხელს უწყობს ერთობლივი მუშაობა საერთო პროგრამებზე და პროექტებზე. ნებისმიერი ასეთი სისტემისთვის გამაერთიანებელი არის ერთიანი საგანმანაწილებლო პროგრამები და ინფორმაციის ბაზის ჩამოყალიბება. საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის მდგრადობის მთავარი კრიტერიუმი (ანუ მისი ეფექტურობის) არის მონიტორინგის სისტემის თვითგანვითარების მაჩვენებელი. თვითგანვითარების დროს კი მონიტორინგის სისტემის წევრები ეძებენ და პოულობენ საკუთარ რესურსებს საერთო პროექტების განსახორციელებლად. ახალი წევრების გამოჩენა კი ნიშნავს მონიტორინგის სისტემის განვითარებას და სიცოცხლისუნარიანობას.

საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის განხორციელების სქემა მოცემულია ნახაზზე. სქემაში მთავარია ინფორმაციის მოპოვება, ან ინფორმაციის ნაკლებობის შევსება.

საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის ეფექტური წარმართვისთვის აუცილებელია შემდეგი ეტაპები:

1. მონიტორინგის ობიექტის განსაზღვრა;
2. მონიტორინგის მიზნების ჩამოყალიბება;
3. მონიტორინგის დაგეგმვა;
4. ინფორმაციის თავმოყრა;
5. შედეგების ანალიზი და დასკვნების შემუშავება;

6. ანალიზის შედეგების გავრცელება და გამოყენება.

მონიტორინგის პროცესში შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის მოპოვების შემდეგი ძირითადი მეთოდები:

- დოკუმენტაციის შესწავლა;
- დაკვირვება;
- ანკეტირება;
- ინტერვიუ;

მოპოვებული ინფორმაცია მონიტორინგის მიზნების შესაბამისად უნდა

დამუშავდეს, სასურველია, წინასწარ მომზადდეს მოდელური ანალიზის ფორმები. ანალიზის საფუძველზე უნდა მომზადდეს რეკომენდაციები და ძირითადი დასკვნები.

აუცილებელია საზოგადოებრივი მონიტორინგის ორგანიზების სქემის პილოტირება, ქსელში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ სქემის ამოქმედების შედეგად მოსალოდნელია:

- საზოგადოების ეკოლოგიური აქტივობის ზრდა;
- ეკოლოგიური განაღლების და კულტურის ამაღლება;
- გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სანდოობის გაზრდა;
- ინფორმაციის გავრცელებით ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის მატება;
- საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის შექმნა და ამოქმედება.
- პრეზენტაციები შესაძლო დონორებთან;

ინიციატივების შედეგების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- რამდენი არასამთავრობო ეკოლოგიური ჯგუფი არის ჩართული ქსელში პროექტის შესასრულებლად;
- რამდენი „ცხელი წერტილი“ იქნა აღმოჩენილი ან გადამოწმებული და დადასტურებული;
- მიღებული ინფორმაციის გავრცელებაზე საზოგადოების რეაგირება;
- ქსელის მდგრადობის შეფასება ყველა დონეზე;
- ეკოლოგიური მონიტორინგით მიღებულ შედეგებზე სახელმწიფო სექტორის რეაგირება.

დასკვნები, შედეგები და რეკომენდაციები

სამუშაოს მთავარი პროდუქტი არის ეკოაქტივისტებისა და ფოკუსჯგუფებისათვის შექმნილი კითხვარი და მიწოდებული საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზების სქემა. რეკომენდირებულია ამ

სქემის პილოტირება შერჩეული გეოგრაფიული ადგილისთვის (რეგიონისთვის). შედეგად მოხდება :

- საზოგადოების ეკოლოგიური აქტივობის ზრდა.
- ეკოლოგიური განათლების ამაღლება.
- გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სანდოობის გაზრდა.
- მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების გზით ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის მატება.
- აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გარემოს მდგომარეობაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო ეკოლოგიური მონიტორინგის მოთხოვნა.

საზოგადოებრივი სექტორის ჩართვა, ამოცანის აქტუალობა, მისი უწყვეტობის მოთხოვნა და შემდგომი დახვეწა იწვევს აუცილებლობას სამუშაოს გავრცელების და მისი შემდგომი განვითარების.

მიღებული შედეგების შეფასება შეიძლება შემდეგნაირად (ჩამოთვლილი პოზიციებით)

- რამდენი ეკოაქტივისტი მოიწვიეთ პროექტის შესასრულებლად.
- რამდენი "ცხელი წერტილი" იქნა აღმოჩენილი ან დადასტურებული.
- მიიღეთ თუ არა ინფორმაცია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან.
- კითხვარების კორექტულობა და აქტუალობა ამა თუ იმ რეგიონისთვის.
- მიღებული ინფორმაციის გავრცელებაზე საზოგადოების რეაგირება.
- ეკოლოგიური მონიტორინგით მიღებულ შედეგებზე სახელმწიფო სექტორის რეაგირება.

ნაშრომის ძირითადი შედეგია საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგისათვის პლატფორმის შექმნა, რომელშიც გაერთიანდება არასამთავრობო სექტორისა და მუნიციპალიტეტების მერიების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, ასევე დაინტერესებული პირები. პლატფორმა უზრუნველყოფს სამოქალაქო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობას და გააძლიერებს საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილებათა მიღებაში.

რეკომენდაცია

1. რეკომენდირებულია საჯარო სექტორის მხრიდან მოხდეს საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის პლატფორმის ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეწყობა და გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება.
2. ეკოლოგიური მონიტორინგით მიღებულ შედეგებზე სახელმწიფო სექტორის რეაგირება.

